

# ხალხის გაზეთი

რ ე ვ ი ო ნ ე ბ ი ს თ ვ ი ს

გაგვიზიარეთ თქვენი რეგიონის პრობლემები.

საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ მე-8 გვერდზე

## სინამდვილეები

დათო ტურაშვილი



თუ ჩვენ მართლა ჩვენი ტრადიციების შენარჩუნება გვინდა, ევროპა არის ყველაზე საიმედო სივრცე, სადაც ამის გაკეთება ყველაზე ადვილია, რადგან ყველა ქვეყანაში, სადაც უკვე ასე მრავლად ცხოვრობენ ქართველები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებენ ნებისმიერ ინიციატივას, რაც დაკავშირებულია ჩვენი ისტორიის, კულტურისა თუ ენის სიცოცხლისუნარიანობასთან.

თანამედროვე ევროპის არსი სწორედ ევროკავშირში შემავალი, სრულიად განსხვავებული ერებისა და ხალხების თვითმყოფადობაზე, მათ განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებაზე ზრუნვაა და ამის გადამოწმება ძალიან ადვილია. ნებისმიერ ქართველს, უკვე ჰყავს

ახლობელი, ნათესავი ან მეგობარი ევროპის რომელიმე ქვეყანაში და ნებისმიერ მათგანს შეუძლია მიმართოს ნებისმიერი ქალაქის მუნიციპალიტეტს ნებისმიერი პროექტით, თუ ის ქართული კულტურის შენარჩუნებას ემსახურება და აუცილებლად დააფინანსებენ.

ევროკავშირში შემავალი ქვეყნები და ხალხები, სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ამ ერთობის იდეაც სწორედ ამ განსხვავებისა და მრავალფეროვნების შენარჩუნებაც იყო და არის სივრცეში, სადაც საერთო ღირებულებებთან ერთად, სრულიად განსხვავებული ცნობიერების ადამიანები თანაარსებობენ. თავისუფლების ერთ-ერთი მთავარი განსაზღვრებაც განსხვავებული აზრისა და აზროვნების, ხასიათისა და მენტალიტეტის მიმღებლობაა და, მაგალითისთვის, გერმანია და საბერძნეთიც გამოდგება, რადგან ბერძენსა და გერმანელს არაფერი აქვს საერთო მიუხედავად იმის, რომ ორივენი ევროკავშირის წევრები არიან.

**ჩვენ სულ ჩვენი ტრადიციების დაკარგვის შიში გვაქვს და არ ვფიქრობთ, რომ სინამდვილეში, ნებისმიერი ხალხი იმ ტრადიციას კარგავს, რომელსაც თვითონ აღარ თვლის საჭიროდ და სინამდვილეში რომელიმე ტრადიციის შენარჩუნება, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, თორემ ევროკავშირის წევრმა ესპანელებმა (ასევე მაგალითად), ყველა ტრადიცია შეინარჩუნეს, რაც კი მათთვის ძვირფასი იყო. რაც შეეხება ღირებულებებს, სინამდვილეში თანამედროვე ევროპული (თითქმის ყველა ღირებულება), სამწუხაროდ დავიწყებული და ძველი ქართული ფასეულობაა, თორემ ქალთა უფლებებზე ხმამაღლა და საჯაროდ საუბარი საქართველოში ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში დაიწყო, ხოლო თანასწორებაზე შეთანხმება ჯერ კიდევ შოთა რუსთაველის ეპოქაში მოხდა ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში ყველაზე ადრე, სწორედ საქართველოში გაუქმდა**

**სიკვდილით დასჯა.** მეტიც, ვაჟა-ფშაველას სიბრძნემ და განსხვავებულისადმი გენიალურმა დამოკიდებულებამ, მთელი საუკუნით გაუსწრო დღევანდელი ევროპის საფუძვლებს და შემთხვევითი არ არის რომ ევროკავშირის იდეისა და კონსტიტუციის სამი ავტორიდან ერთი-ერთი ქართველი იყო – სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი მიშელ მუსხელი, რომელიც, სინამდვილეში, მიხეილ მუსხელიშვილი გახლდათ.


თუმცა, ეთნოგენების თვალსაზრისითაც უნდა ითქვას, რომ ისინი, ვინც ოცდამეერთე საუკუნეში ევროკავშირი შექმნეს, ევროპაში მოსული სხვა ხალხების ჩამომავლები არიან და, სინამდვილეში, უძველესი და პირველი ევროპელები ჩვენ ვართ – ჩვენი წინაპარი ევროპული ცივილიზაცია აქ, ხმელთაშუა ზღვის აუზში დაიბადა. უძველესი ევროპული ცივილიზაცია, რომელიც პროტო-ქართველებმა შექმნეს, კავკასიიდან თანამედროვე ესპანეთის ჩათვლით ვრცელდებოდა. ამიტომაც მღერიან ჩვენსავით მრავალხმოვნად მაგალითად ბასკები თუ კორსიკელები და არა ჩვენი უშუალო ამჟამინდელი მეზობლები და სინამდვილეში, ჩვენ ჩვენს ისტორიულ სახელში ვბრუნდებით...

# ქრისტიანული კულტურის ქებლები საფრთხეშია

## მედეა მეტრეველი

საქართველოში ტაძრები და ეკლესიები, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლეს და ჩვენამდე მოაღწიეს 21 საუკუნეში, ტექნოლოგიების და მეცნიერებების განვითარების ეპოქაში, ერთი მეორის მიყოლებით ნადგურდება, იშლება მათი კვალი, ჩვენი ისტორია და, მაშასადამე, ჩვენი, ქართული იდენტობის და კულტურის ნიშან-სვეტები.

ა.წ. 14 ნოემბერს საგანაგაშო განცხადება გააკეთა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ახლადდანიშნულმა



**ფოტო: ინტერპრესნიუსი**

ხელმძღვანელმა თეა ონიანმა – „ყველა მნიშვნელოვან ძეგლს დიდი გასაჭირი აქვს... სახურავები არასწორად არის მოწყობილი, მასალები არასწორია...“. ცვივა და იხვეტება კედლის მხატვრობის ფრაგმენტები არასწორად და არაკომპეტენტურად ჩატარებული სამუშაოებით. თუმცა, მიზეზი კიდევა სხვაა – პასუხისმგებელი უწყებების

## **ქართული სახელმწიფოებრიობის ნიშან-სვეტები იღევა და ქრება**

გულგრილი დამოკიდებულება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიის მიმართ. გელათი, ჯვრის მონასტერი, ყინწვისი, სვეტიცხოველი, ნიკორწმინდა, ტიმოთესუბანი... სია გრძელა.

არადა, ბოლო ექვის წელი განგაშის ბარებს სცემდა საზოგადოება ამ უმძიმეს მდგომარეობაზე. რიგითი მოქალაქეები ფოტოებს და ვიდეოებს იღებდნენ და ავრცელებდნენ სოციალურ ქსელებში, ჟურნალისტები სიუჟეტებს და ეთერებს უძღვნიდნენ ამ პრობლემების გაშუქებას ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ამა თუ იმ ძეგლის ურთულეს მდგომარეობაზე და სწორედ მათგან ვიგებდით, თუ რა განსაცდელის წინაშე იდგა საუკუნოვანი ეკლესია-მონასტრები. და, ამ დროს, ყოვლად უტიფრად პარლამენტი და

კულტურის სამინისტრო თავად ძეგლებს აბრალებდა ამ პრობლემას და მათ დაზიანებებს მათივე სიძველით ხსნიდა. ქალბატონმა ელისო ბოლქვაძემ, რომელიც 2020-2024 წლებში კულტურის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ისე დატოვა პარლამენტი, არც ერთხელ არ შეხვედრია ექსპერტებს და მეცნიერებს, რომლებიც არაერთი თხოვნის წერილით მიმართავდნენ პარლამენტს გამართულიყო საჯარო მსჯელობა იმ დიდი საფრთხეების შესახებ, რაც ჩვენს უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას ედგა. ერთადერთი საფიქრალი და სადარდელი, რაც 4 წლის განმავლობაში ჰქონდა ქალბატონ ბოლქვაძეს პარლამენტის ფოიეში მისთვის როიალის დადგმა აღმოჩნდა. და ასე გავიდა 4 წელი ძეგლების ნგრევასა და განადგურებაში. გელათის, ჯვრის, ნიკორწმინდის და სხვა ტაძრების გა-



დარჩენის მცდელობების ყველა ეტაპზე „დაგვამარცხეს“ საკუთარი უმოქმედობით. მიყენებული ზიანის დიდი ნაწილი, დიდი ალბათობით, გამოუსწორებელია, თუმცა ჯერ კიდევ არის იმედი, რომ ტაძრებში არსებული მდგომარეობა და უნიკალური კედლის მხატვრობა მაინც შევი-

## ნარჩუნოთ.

საპატრიარქოს მიმართვის შემდეგ, 2023 წელს ჩუბინაშვილის კვლევითი ცენტრის მეცნიერების მიერ, გელათთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნა და იუნესკოს ანგარიშები ცხადყოფს, თუ რა არაკომპეტენტური ადამიანების ხელში იყო და დღესაც რჩება ქართული კულტურული მემკვიდრეობა. დასკვნაში ვკითხულობთ, რომ გელათის რეაბილიტაციის დროს 2020-2022 წლებში:

- გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უკიდურესად ცენტრალიზებული და გაუმჭვირვალე იყო;

- სამეცნიერო მეთოდოლოგიური კომპონენტი... ყველა ეტაპზე იყო უგულვებელყოფილი;

- უცნობი იყო სამუშაოთა შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმი;

- იუნესკოს მოთხოვნები იყო შეუსრულებელი;

- არ არსებობდა ძეგლის მართვის კომიტეტი;

- სამუშაოები ქაოტურად და ფრაგმენტირებულად მიმდინარეობდა;

- საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები ეწინააღმდეგებოდა ქართველი და უმაღლესი კვალიფიკაციის უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს;

- პროფესიული ექსპერტიზის სრული უგულვებელყოფის ილუსტრაცია იყო მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში მხატვრობის თვითნებური ტონირება-რესტავრაცია.

სწორედ ასეთი ხარვეზებით ტარდებოდა გელათში სარესტავრაციო სამუშაოები 2020-2022 წლებში, რამაც მაცხოვრის უნიკალური ფრესკის დაშლა და ცვენა გამოიწვია და დღესაც ამ შეცდომების შედეგებს იმკიან ის ადამიანები, ვინც გელათის გადარჩენისთვის მუშაობენ.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია ხდებოდა და ხდება აკრძალული მასალებით და მეთოდებით, არ ტარდებოდა პარალელური კვლევები კედლის მხატვრობის მდგომარეობის შესაფასებლად... ან და ვინ

ჩაატარებდა? ვინ შეაფასებდა? ყველა მცოდნე და პროფესიონალი გაუშვეს კულტურის სამინისტროს სისტემიდან, ყველა, ვინც ხმამაღლა საუბრობდა და აპროტესტებდა ამ მავნებლობას, უკანონობას და გულგრილობას, რაც კულტურის სამინისტროში და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში 2020-2023 წლებში ხდებოდა.

დღესაც, ასობით ძეგლი შველას ითხოვს. ხელისუფლების პრიორიტეტები კი სრულებით განსხვავებულია – მოსახლეობის გაღარიბების და ქართული მიწების გასხვისების ხარჯზე მაქსიმალურად მეტი პირადი სარგებელი ნახონ. სწორედ ამას უთმობენ საკუთარ დროს, გავლენას და საბიუჯეტოს სახსრებს.

დავსვათ კითხვა, თუ ვის ინტერესს შეიძლება ემსახურებოდეს ქართული ისტორიული კვალის გაქრობა, თუ არა ჩვენს არაკეთილმოსურნე მემობელ ოკუპანტ ქვეყანას, რომელსაც სურს წაშალოს ისტორიული მტკიცებულებები ქართული სახელმწიფოსი, მისი საყრდენი სიმბოლოები – ვარძია, გელათი, გრემი, ყინწვისი. **დავსვათ ეს კითხვები და მოვითხოვთ პასუხები!**

**საფრთხის ქვეშ მყოფი ყველა უმნიშვნელოვანესი ძეგლი არის დანაშაულის ადგილი.** ასეთი მავნებლური და მტრული დამოკიდებულების გამო ყველა პასუხისმგებელი პირის მიმართ უნდა დაიწყოს გამოძიება. ქართული ისტორიული საგანძურის განადგურება ქვეყნის ლალატის ტოლფას დანაშაულად უნდა შეფასდეს და პაუსხისმგებლობა მოეთხოვოს ყველა იმ უწყებას, რომლებმაც ასეთი მძიმე შედეგი დააყენა ქვეყანაში.

ნათელია, რომ არსებული სისტემის პირობებში ქართული კულტურა ყოველდღიურად რჩება საფრთხეში და თუ რამემ შეიძლება დღეს ჩვენი საზოგადოება გააერთიანოს ეს ჩვენი საგანძურის გადარჩენაა.

გამოუსწორებლად დაზიანებული გელათის ღვით-სმშობლის უნიკალური ფრესკა კი უპასუხისმგებლო და მავნებელი ხელისუფლებისთვის განაჩენი უნდა იყოს!

# რა დაგვიჩდება საახალწლო სუფრა

ინგა ლოლობერიძე



თუ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ საქართველოში დიასახლისების ნაწილს მთლად ისე არ უხარია ახალი წლის დადგომა, როგორც ამას ჰოლივუდის საახალწლო ფილმებში გვიჩვენებენ? გიფიქრიათ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

პირადად მე, შარშან პირველად ვკითხე დედაჩემს სერიოზულად, რატომ არ უხაროდა ახალი წელი და მასთან დაკავშირებული მთელი ეს ჯადოსნური სამზადისი ისე ძლიერად, როგორც მე ან ჩემს ძმას. ახალი წელიც მეყვარება და ყველა დღესასწაულიც, როცა წინა დღეებში იმაზე ნერვიულობა თუ არ მომიწევს, ეს სადღესასწაულო სუფრები რით მოვამზადო – მიპასუხა.

და მართლაც, ქვეყანაში, სადაც უდიდეს შრომას უმცირესი ანაზღაურება მოჰყვება შედეგად, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვართან ან მის მიღმაა, პროდუქტების ფასები კი სულ უფრო და უფრო იზრდება, ბუნებრივია, რომ დიდი და უხვი სუფრების გაწყობა ქართული ოჯახებისთვის უსახსრობით გამოწვეულ შფოთვასთან არის დაკავშირებული.

მოდით, შევიხედოთ 31 დეკემბერს საშუალო სტატისტიკურ ქართულ ოჯახში და ვნახოთ, რა დაგვხვდება

სუფრაზე:

შემწვარი გოჭი, საცივი, სალათა „ოლივიე“, კიტრი-პომიდვრის სალათა, ქათმის სალათა, ნიგვზიანი ბადრიჯანი, ფხალეული, შემწვარი ორაგული, მუავის ასორტი, ხაჭაპური, აჩმა, შოთის პური. ახლა გვერდით გავიხედოთ, შედარებით პატარა მაგიდასაც შევამჩნევთ, სადაც ხილი და ტკბილეულობაა: მანდარინი, ფორთოხალი, ყურძენი, ბანანი, ჩირი, ჩურჩხელა, უგემრიელესი ნამცხვარი „იდეალი“ და, რაღა თქმა უნდა, გობინაყია. ეს ყველაფერი ნამდვილად მადისაღმძვრელად გამოიყურება, მაგრამ ახლა დებერტირების ბაზარში შეგახედებთ და ვწუხვარ, თუკი ფასების გაგების შემდეგ საახალწლო სამზადისის სიხარული შეიძლება გაგინელდეთ.

პირველად ხორცის განყოფილებას მივადგეთ. დახლთან ძალიან სანდომიან კაცს დავინახავთ, რომელიც თავიდანვე გაგვაფრთხილებს, რომ ახალი წლისთვის ფასები კიდევ გაიზრდება.

მაშ ასე, ახალ წლამდე პერიოდში 1 კგ გოჭის ფასი „დებერტირების ბაზარში“ 30 ლარია. როგორც დიასახლისები მეუბნებიან, 6-7 კგ მაინც ვყიდულობთო. თუ სამომავლოდ გაზრდილ ფასებსაც გავითვალისწინებთ, სუფრაზე „გაწოლილი“ გოჭი საშუალოდ 250 ლარამდე ჯდება. ღორის და საქონლის (უძვლო) ხორცი, რომელიც, როგორც წესი, ერთი კილოგრამი საკმარისია, 20 და 35 ლარი ღირს. ქათმის ხორცი 7-8 ლარია და სუფრისთვის, საშუალოდ, 20 ლარის დაგჭირდებათ. რაც შეეხება ინდაურს, ბაზარში ჯერ არ ჰქონდათ და წინასწარ ვერ გეტყვით ფასსო. თუმცა, გამოცდილმა დიასახლისმა და კულინარმა მითხრა, 150 ლარად თუ იყიდე, ესე იგი ძალიან გაგიმართლავს. ხორცის მერე ყველს მივადექი. 1 კგ კარგი სახაჭაპურე ყველი ჯერჯერობით 17 ლარი ღირს. 1 კგ ყველისგან 4 ხაჭაპური გამოდის. ამას ფქვილის და კარაქის ფასსაც თუ დავუმატებთ, 4 ცალი ხაჭაპური (თუკი საკმარისია სუფრისთვის) 20 ლარამდე დაგიჯდებათ.

თუ სუფრაზე აჩმაც ძალიან გინდათ, რომ გქონდეთ, მაშინ დამატებით 45 ლარამდე უნდა გადადოთ. ხოლო, თუ თქვენს ოჯახში ახალ წელს ვაზის ფოთოლში გახვეულ ტოლმასაც აკეთებენ, ესე იგი ზედმეტი 60 ლარიც უნდა გაითვალისწინოთ.

ახალი წლის კერძების უმნიშვნელოვანეს ინგრედიენტს, თეთრ ქართულ ნიგოზს შევხედოთ. 1 კგ-ის ფასი 30-35 ლარს შორის მერყეობს. საცივისთვის, გობინაყისა და ფხალეულისთვის 2 კგ მაინც დაგჭირდებათ (თუ მეტი არა), რაც ჯამში 70 ლარი გამოდის. რადგან გობინაყი ვახსენე, აქვე გეტყვით 500 გრამი თაფლის ფასს, რომელიც 15-20 ლარია. რაც შეეხება ორაგულს, მისი ფასი 23-25 ლარია. 60 ლარის ორაგული თავისუფლად გეყოფათ. მჟავეულის ასორტისთვის თუ ყველაფერს 500-500 გრამს იყიდით, მაშინ, ჯონჯოლის, წიწაკის, ნივრის, კომბოსტოს, სტაფილოსა და პომიდვრის მჟავის ასორტი 30 ლარამდე დაჯდება. ამას ოლივიეს სალათის 30 ლარი, კიტრი-პომიდვრის სალათის 10 ლარი, 2 კგ ისპანახის 6 ლარი და, ასევე 2 კგ ბადრიჯნის 8 ლარი დაგუმატოთ. აქვე ვიანგარიშოთ სუნელებისთვის საჭირო 10 ლარი (დაახლოებით) და 5 ცალი შოთის პურის 6 ლარი.

ახლა ისევ პატარა მაგიდაზე გადავინაცვლოთ, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი ხილი, თუკი თითო-თითო კილოგრამს იყიდით (და ხარისხიანს), ჯამში 30 ლარამდე დაჯდება. ჩირი – 20 ლარი. ასაწონი შოკოლადები, სულ მცირე, 40 ლარი, 5 ჩურჩხელა -15 ლარი, ხოლო ნამცხვარი იდეალი – 45 ლარი.

რომ არ იწვალეთ, დაგიჯამებთ და გეტყვით, რომ თბილისში საახალწლო სუფრა (სასმელის გარეშე) საშუალოდ 1000 ლარი ჯდება მაშინ, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავალი ამ თანხაზე ნაკლებია.

ამის მერე, ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი ჩვენი დედების ნაწილს ახალი წლის მოსვლა უფრო მეტად აშინებთ და ანერვიულებთ, ვიდრე აბედნიერებთ. და ისიც, ბუ-

ნებრივია, თუკი მათთვის ეს დღე არა რაღაც ახლის და ჯადოსნურის დასაწყისთან, არამედ ძალიან დიდ ხარჯებთან ასოცირდება.

## როგორ გამოიყენა სახელმწიფომ ციანიდის შემცველი მხუთავი აირი მოქალაქეების წინააღმდეგ?

**BBC, მაქს ჰუდსონის, თანა მაროჩიკოს და სარა ბაკლის  
გამოძიება ქართულად თარგმნა დავით ჯინჭარაძემ**

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მედიის, BBC-ის ყურადღების ცენტრში ექცევა. BBC-ის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შარშან 28 ნოემბრის აქციების დასაშლელად პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ქიმიური იარაღი გამოიყენა.



ფოტო: BBC

„იგრძნობოდა წვა,“ – თქვა ერთ-ერთმა დემონსტრანტმა, რომელსაც თბილისის ქუჩებში, სხვებთან ერთად, წყლის ჭავლი მიუშვირეს. მისი თქმით, ამ ნივთიერების ჩამობანა მარტივად ვერ მოხერხდა. დემონსტრანტები, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებას აპროტესტებდნენ, სხვა სიმპტომებსაც უჩიოდნენ – სუნთქვის გაძნელებას, ხველას და ღებინებას, რაც კვირების განმავლობაში

გრძელდებოდა.

BBC-ის მსოფლიო სამსახური ესაუბრა ქიმიური იარაღის ექსპერტებს, საქართველოს სპეცრაზმის წევრებს და ექიმებს. მტკიცებულებები მიუთითებს ისეთი ნივთიერების გამოყენებაზე, რომელსაც საფრანგეთის სამხედროები „კამიტს“ უწოდებდნენ.

კამიტს პირველი მსოფლიო ომის დროს საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ იყენებდა. მისი შემდგომი გამოყენების შესახებ მცირე დოკუმენტაცია არსებობს, თუმცა მიიჩნევა, რომ 1930-იან წლებში ის ხმარებიდან ამოიღეს, რადგან არსებობდა შეშფოთება მის ხანგრძლივ ეფექტებთან დაკავშირებით. ჩამანაცვლებლად CS გაზი – ხშირად მოხსენიებული როგორც „ცრემლსადენი გაზი“ – გამოიყენებოდა.

ერთმა ქართველმა ექიმმა, კონსტანტინე ჩახუნაშვილმა, ნ9 ადამიანი პირადად გასინჯა და კვლევა გამოაქვეყნა. პაციენტების გულის ელექტრულ სიგნალებში „დარღვევების მნიშვნელოვნად მაღალი გავრცელება“ აღმოაჩინა.

ექიმი ჩახუნაშვილის ანგარიში დაემთხვა ადგილობრივი ჟურნალისტების, ექიმებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების დასკვნას რომ წყლის ჭავლში ქიმიური ნივთიერება იყო შერეული. ისინი მოუწოდებდნენ მთავრობას, დაესახელებინა გამოყენებული ნივთიერება, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც პოლიციამაგა პასუხისმგებელი, უარი განაცხადა.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტთან დაკავშირებული რამდენიმე მაღალი რანგის მამხილებელი BBC-ის ამ ქიმიური ნივთიერების სავარაუდო შემადგენლობის დადგენაში დაეხმარა. დეპარტამენტის შეიარაღების ყოფილი ხელმძღვანელი, ლაშა შერგელაშვილი მიიჩნევს, რომ ეს იგივე ნაერთია, რომლის გამოცდაც წყლის ჭავლში გამოსაყენებლად მას 2009 წელს სთხოვეს.

მისი თქმით, ამ პროდუქტის ეფექტი განსხვავდებოდა ყველაფრისგან, რაც მანამდე გამოუცდია. ჭავლის ად-

გილთან ახლოს დგომისას სუნთქვა უჭირდა. ხოლო, როდესაც შერგელაშვილს ჰკითხეს, შეიძლებოდა თუ არა მის მიერ გამოცდილი პროდუქტი უბრალოდ ცრემლსადენი გაზი ყოფილიყო, რომელიც თვალებს, კანს და სასუნთქ სისტემას აღიზიანებს, და ისიც მხოლოდ დროებით, მან თქვა, რომ ეს ბევრად ძლიერი ჩანდა. „მაგალითად, თუ ამ ქიმიურ ნივთიერებას მიწაზე დააქცევთ, იმ ტერიტორიაზე მომდევნო ორი-სამი დღე ვერ გაჩერდებით, წყლით რომც ჩამორეცხოთ. შერგელაშვილმა არ იცის იმ ქიმიური ნივთიერების სახელი, რომლის ტესტირებაც სთხოვეს.

15-20 კოლეგამ, რომლებმაც ის გამოსცადეს, ნივთიერება ადვილად ვერ ჩამოიბანეს.

BBC ასევე ესაუბრა პოლიციის კიდევ ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს, რომელმაც დაადასტურა, რომ ის ნივთიერება, რაც წყლის ჭავლის მანქანებში შერგელაშვილის მუშაობის დროს იყო, იგივეა, რაც 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის აქციებზე გამოიყენეს.

BBC-მ მოახერხა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ინვენტარიზაციის ასლის მოპოვება, რომელიც 2019 წლის დეკემბრით თარიღდება. ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ის შეიცავდა ორ უსახელო ქიმიურ ნივთიერებას. ისინი უბრალოდ ნახსენები იყო როგორც „ქიმიური სითხე UN1710“ და „ქიმიური ფხვნილი UN3439“ შერევის ინსტრუქციასთან ერთად.

ჟურნალისტებს ამ სიის ავთენტურობის შემოწმება უნდოდათ, ამიტომაც ის სპეცრაზმის კიდევ ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს აჩვენეს, რომელმაც დაადასტურა, რომ დოკუმენტი ნამდვილი იყო. UN1710-ის იდენტიფიცირება ადვილი იყო, რადგან ეს არის ტრიქლორეთილენის (TCE) კოდი – გამხსნელის, რომელიც სხვა ქიმიკატებს წყალში გახსნის საშუალებას აძლევს. UN3439-ის იდენტიფიცირება ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, რადგან ეს არის კრებითი კოდი სამრეწველო ქიმიკატების მთელი სპექტრისთვის, რომელთაგან ყველა საშიშია.

მათგან ერთადერთი, რომელიც ოდესმე აქციების დასაშლელად გამოიყენებოდა, არის ბრომობენზილ ციანიდი, იგივე კამიტი, რომელიც მოკავშირეებმა პირველ მსოფლიო ომში გამოსაყენებლად შექმნეს.

ჟურნალისტებმა სთხოვეს პროფესორ კრისტოფერ ჰოლსტეგეს, ტოქსიკოლოგიისა და ქიმიური იარაღის მსოფლიო დონის ექსპერტს, შეეფასებინა მიუთითებდა თუ არა ჩვენი მტკიცებულებები კამიტის გამოყენებაზე.

ექიმ ჩახუნაშვილის კვლევის შედეგებზე, დაბარალე-ბულთა ჩვენებებზე, სპეცრაზმის ინვენტარიზაციასა და შერგელაშვილის მიერ აღწერილ ქიმიურ ტესტებზე დაყრდნობით პროფესორი ჰოლსტეგე მიიჩნევს, რომ საქმე სწორედ ამ ნივთიერებასთან გვაქვს.

„არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით კლინიკური მიგნებები, რომლებიც როგორც დაბარალეებულებმა, ისე სხვა მოწმეებმა აღწერეს, თანხვედრაშია ბრომობენზილ ციანიდთან.“

BBC-ს მიერ გამოკითხული იარაღის ექსპერტების აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციისთვის უფრო უსაფრთხო და კონვენციური საშუალებები არსებობს, მოძველებული და უფრო ძლიერი აგენტი შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ქიმიური იარაღი.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებში, ელის ედვარდსმა განაცხადა, რომ BBC-ის მიგნებები შემაშფოთებელია. ქალბატონმა ედვარდსმა საქართველოს მთავრობას აქციების დროს პოლიციის ძალადობისა და წამების ბრალდებებთან დაკავშირებით ადრეც მიწერა.

# რატომ მოვიხმართ ამდენ წამალს და ასე ძვირად?

ევროპასა და მსოფლიოში ძნელია მოვძებნოთ ისეთი ქვეყანა, სადაც ერთ სულ მოსახლეზე იმდენი აფთიაქი მოდიოდეს, რამდენიც საქართველოში. ამ სტატისტიკით საქართველო ნამდვილად მოწინავე ქვეყანაა, მაგრამ ეს სახარბიელო სიახლე სულაც არ არის. დაფიქრებად ღირს, თუ რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? რატომ გვჭირდება ამ რაოდენობის აფთიაქები? რატომ მოვიხმართ ამდენ მედიკამენტს და თანაც ასეთ ძვირად?

ჩვენ ხშირად ვდგავართ სასტიკი არჩევანის წინაშე: ვიყიდოთ ექიმის მიერ დანიშნული წამლები, შევარჩიოთ მხოლოდ ზოგიერთი თუ გადავიხადოთ კომუნალური გადასახადები? შევიძინოთ საჭირო მედიკამენტი, თუ ვიყიდოთ ზამთრისთვის აუცილებელი ფეხსაცმელი ან ბავშვის სასკოლო ტანსაცმელი და წიგნები? აუცილებელი მედიკამენტების შეძენა გაღარიბებას არ უნდა იწვევდეს, ეს საბაზისო აუცილებლობაა.

დღეს ბევრი ჩვენგანისთვის ექიმთან ვიზიტი შიშსა და დაუცველობასთან ასოცირდება, ხოლო წამლების სიძვირე გამოუვალ მდგომარეობაში გვაგდებს, იძულებულნი ვხდებით გადავდოთ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ეს კი ცხადია უფრო აუარესებს მდგომარეობას და მკურნალობის ხარჯებს საბოლოო ჯამში მკვეთრად ზრდის.

საქართველოში ხელისუფლებამ სცადა წამლის ფასების რეგულირება, ანუ ფასის ზედა ზღვრის დაწესება, თუმცა შედეგი არასაკმარისია – ჩვენი ჯიბე წამლის ფასებს მაინც ვერ სწვდება. მეტიც, მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები გვაღარიბებს. ჩვენ კვლავ იმავე რთული არჩევანის წინაშე ვდგავართ ვიყიდოთ წამალი, თუ ეს თანხა ოჯახის სხვა საჭიროებას მოვახმართ და გადავდოთ ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა?

არსებობს რამდენიმე მთავარი მიზეზი, რის გამოც წამლები საქართველოში გვიძვირდება და მათ გადაჭარბებით მოვიხმართ:

**ოლიგოპოლია – ჩაკეტილი წრე**

საქართველოში ფარმაციის ბაზარზე ოლიგოპოლია ბატონობს. ოლიგოპოლია ეწოდება ისეთ ბაზარს, სადაც რამდენიმე დიდი კომპანია აკონტროლებს თითქმის მთელ წარმოებას, შემოტანას და გაყიდვებს. საქართველოში სააფთიაქო ქსელები ერთმანეთს კონკურენციას პრაქტიკულად არ უწევენ. შესაბამისად, არ გვაქვს არჩევანი სად ვიყიდოთ წამალი, ვერც დაბალ ფასში ვიპოვით საჭირო წამალს და ვერც უკეთესი ხარისხის ალტერნატივას.

ოლიგოპოლიის პირობებში ახალი კონკურენტი კომპანიების ბაზარზე შემოსვლა თითქმის შეუძლებელია. შესაბამისად, ეს სფერო ჩაკეტილი წრე ხდება და მოქალაქეების სასარგებლოდ ამ წრიდან თავის დაღწევა სამართლიან კანონებსა და რეგულაციებს საჭიროებს.

### **გადაჭარბებული ფასნამატი –**

### **10-ლარიანი წამალი 200 ლარად**

არსებობს შემთხვევები, როცა მედიკამენტს იმპორტიორი კომპანიები 1000–2000 პროცენტიანი ფასნამატით ყიდნიან. მაგალითად, ერთრომიცინის ფასი რეგულირებამდე იყო 18 ლარი, ახლა კი მისი ფასი 12 ლარამდეა. აღნიშნული პრეპარატი ბანგლადეშშია წარმოებული და მისი ფასი საერთაშორისო ბაზარზე 1.55 დოლარია, რაც დაახლოებით 4 ლარს შეადგენს, საქართველოში კი ერთრომიცინი, თანაც დაბალი ხარისხის, მაინც სამჯერ ძვირად – 12 ლარად – იყიდება.

ფასების რეგულირების მიუხედავად, პრობლემა მაინც მწვავეა. მაგალითად, რეგულირება ხშირად მხოლოდ ფასის 40-50%-იან შემცირებას ითვალისწინებს, ანუ 200-ლარიანი წამალი შესაძლოა 100 ლარამდე გაიადგეს, მაგრამ 100 ლარი მაინც მძიმედ ურტყამს ოჯახის ბიუჯეტს. ამიტომ დადებითი ეფექტი მცირეა. ევროპული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოქალაქის ჯიბიდან მედიკამენტებზე გაწეული ხარჯი გარკვეულ ზღვარს არ უნდა

ცდებოდეს. მაგალითად, თუ თქვენი შემოსავალი თვეში 1000 ლარია, ხოლო აუცილებელ წამლებში 250 ლარის გადახდა გიწევთ, ეს საგანგაშო ციფრია. ამიტომ, სახელმწიფო გვერდით უნდა ედგას მოქალაქეს, რომ მინიმალური შემოსავლის პირობებში, გადაუდებელი საჭიროებისას, დიდი ხარჯის გაწევამ ის არ გააღარიბოს და უფრო მძიმე სოციალური რისკის ქვეშ არ დააყენოს.

## **ფარმაცევტული კომპანიებისა და ექიმების ინტერესი**

აღბათ ხშირად წაწყდომიხართ პრობლემას, როცა ექიმები პაციენტებს უნიშნავენ ათობით დასახელების მედიკამენტს და გაგჩენიათ კითხვა, ნუთუ მართლა საჭიროა ყველა წამლის მიღება?

გარდა ამისა, დამატებით პრობლემას ქმნის ისიც რომ, ფარმაკომპანიები ხშირად ქმნიან წამლებზე ხელოვნურ დეფიციტს, ანუ შეუძლებელი ხდება წამლების შოვნა ან შემოაქვთ დაბალი ხარისხის ალტერნატიული წამლები, რომლის ყიდვაც იძულებით უწევთ მოქალაქეებს სხვა არჩევანის არ ქონის გამო. ეს ყოველივე კი, სამომავ-



ლოდ, ჯანმრთელობაზე არცთუ სასარგებლოდ აისახება.

შემაჯამებლად უნდა ითქვას, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე არ არსებობს რეალური კონკურენცია, რაც ფასებს დაწევს, ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს რომელ აფთიაქში შევიძინებთ წამალს. საზღვარგარეთიდან იმპორტირებულ წამლებზე ფასნამატი კოლოსალურად დიდია, ხოლო სახელმწიფოს ძალისხმევა საკმარისად ვერ ან არ უმკლავდება ამ პრობლემას. საქართველოს საშუალო

მოქალაქის ოჯახის შემოსავალი ვერ სწვდება წამლის ხარჯებს, ამიტომ გვიწევს უარი ვთქვათ ან გადავდოთ ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა. თუ ასე გაგრძელდება, ეს ყოველივე, მომავალში, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ჩვენს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

# რატომ ევროკავშირი?

## თეონა ქალიძე

რა სარგებელი ექნება ხალხს  
სოციალურ ტრილში?

დავიწყოთ იმით, რომ ევროკავშირი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა. მისი მიზანი მშვიდობის, კეთილდღეობის და თავისუფლების უზრუნველყოფაა. ევროკავშირის მთავარი ღირებულებებია: ადამიანის ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, კანონის უზენაესობა. ამჟამად, ევროკავშირში გაწევრიანებულია 27 ქვეყანა.

ომი თუ მშვიდობა?

რა თქმა უნდა მშვიდობა! ევროკავშირმა უზრუნველყო 73 წლიანი უწყვეტი მშვიდობა, სტაბილურობა და კეთილდღეობა წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე.

რა შეუძლია ევროკავშირს?

ევროკავშირის 2021-2027 წლების ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 2 ტრილიონ ევროს. ევროკავშირს შეუძლია, სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარი დაუჭიროს ნაკლებად მდიდარ წევრ ქვეყნებს ეკონომიკურ განვითარებაში. ასევე ის ეხმარება კანდიდატ ქვეყნებსაც ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებაში. იცოდით ეს?

ევროკავშირის ბიუჯეტის დიდი ნაწილი (დაახლოებით 50%) მიემართება სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ფონდს, თევზჭერას, სოფლის განვითარებას, რეგიონულ განვითარებას.

ევროკავშირში 446 მილიონი მომხმარებელია, რომელიც კმაყოფილია პროდუქტებზე ხელმისაწვდომი ფასებით და უვნებელი და უსაფრთხო სურსათით. მაგალითად, ერთი ლიტრი რძე ესტონეთში, ლატვიაში, სლოვაკეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, ხორვატიაში, ლიეტუვაში ღირს საშუალოდ 1,13 ევრო. ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს მოქალაქეების საშუალო ხელფასების თანაფარდობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი ლიტრი რძე საქართველოში 1 ლარი უნდა ღირდეს, თუმცა დღეს რძის ფასი საქართველოში 4.5 ლარია მაშინ, როცა ირაკლი კო-



ფოტო: ილია სამურგანდი

ბახიძის თქმითაც, საქართველო ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყანაზე ბევრად უფრო ღარიბია.

საყურადღებოა ის, რომ ევროკავშირში კონტროლდება წყლის და ჰაერის ხარისხი. სურსათის უვნებლობა კი 4 მიმართულებად იყოფა: მცენარეთა ჯანმრთელობა, ცხოველთა ჯანმრთელობა, საკვების ჰიგიენა, დამაბინძურებლები და ნარჩენები.

**იცოდით, რომ ევროკავშირში გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა?**

ყოველ წელს მიმდინარეობს ადამიანთა კმაყოფილების და ბედნიერების კვლევა მსოფლიო მასშტაბით. ასეთი კვლევა ეფუძნება ძირითად 6 კრიტერიუმს: შე-

მოსავალი, ჯანსაღი ცხოვრების ხანგრძლივობა, განსაცდელის დროს დასაყრდენის, დამხმარეს ყოლა, სიკეთის გარემო, თავისუფლება, ნდობა (იზომება მთავრობასა და ბიზნესში კორუფციის არარსებობით). **სამწუხაროდ, 143 ქვეყანას შორის კმაყოფილებისა და ბედნიერების ინდექსში საქართველოს 91-ე ადგილი უჭირავს.** წინა რიგებში კი, ძირითადად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან.

საქართველოში საბანკო სესხების მაღალი პროცენტი მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეებს. საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთმა კი წლების განმავლობაში პენსიონერები უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო. **ევროკავშირის ქვეყნების დიდ ნაწილში უძრავი ქონების სესხის პროცენტი და სამომხმარებლო სესხის პროცენტი მნიშვნელოვნად დაბალია.** მაგალითად უძრავი ქონების სესხის განაკვეთი ჩეხეთში 5.8%, პოლონეთში 7.6%-ია.

### **რა სარგებელი მიიღო საქართველომ ევროკავშირისგან დღემდე?**

ევროკავშირი საქართველოსთვის ყოველწლიურად გამოყოფდა არანაკლებ 100 მილიონ ევროს და გადასცემდა საქართველოს მთავრობას, რაც საქართველოს განვითარებას და რეფორმებს ხმარდებოდა. ამის გარდა, ის ეხმარებოდა სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფს და ორგანიზაციას, მეწარმეებს, ხელოვანებს და სხვა ჯგუფებს არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივის განხორციელებაში. **პანდემიის პერიოდში ევროკავშირი საქართველოს დაეხმარა 1.5 მილიარდი ლარის ოდენობით.**

### **რა მოხდება თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი?**

ჩვენი სახელმწიფოსთვის უზრუნველყოფილი იქნება: პოლიტიკური სტაბილურობა, მოქალაქეების თავისუფლება იცხოვრონ, ისწავლონ ან იმუშაონ ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, ვაჭრობის ბრდა ევროკავშირის შიდა ბაზარზე

წვდომის გზით, დაფინანსებისა და ინვესტიციების ზრდა, სოციალური, გარემოსდაცვითი და სამომხმარებლო სტანდარტების ამაღლება და სხვა.

## **ჯანმრთელობა ყველასთვის**

ევროკავშირში თითოეული მოქალაქე უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარებით, უფრო თანამედროვე საავადმყოფოებით, უსაფრთხო წამლებით და უკეთესი მომსახურებით, რაც უფრო მეტი სიცოცხლის გადარჩენას ემსახურება. დღეს საქართველოდან ბევრი მოქალაქე ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მისაღებად სწორედ ევროკავშირის ქვეყნებში მიდის. არაერთი ოჯახი იძულებულია გაყიდოს სახლ-კარი და ოჯახის წევრის გადასარჩენად წავიდეს იძულებით ემიგრაციაში.

## **უფრო ძლიერი სოციალური დაცვა**

გაწევრიანება ნიშნავს უკეთეს პენსიებს, სამართლიან დახმარებას უქონლობის და სიღარიბის დროს. ახალშობილისა და მშობლების მხარდაჭერას. 709 000 ადამიანი იღებს დღეს საარსებო შემწეობას საქართველოში. საარსებო შემწეობა ზრდასრულ პირებზე 30, 45 ან 60 ლარია სარეიტინგო ქულის მიხედვით. საკმარისია თუ არა ეს, მკითხველმა თავად შეაფასოს.

## **ღეგალური სამუშაო და სწავლა**

### **საზღვრებს მიღმა**

საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ იშოვონ სამუშაო და მიიღონ უფრო ღირსეული ანაზღაურება. სტუდენტებს და მოსწავლეებს გაუჩნდებათ მეტი შესაძლებლობა მიიღონ ხარისხიანი განათლება, რათა შემდეგ ის მოახმარონ ქვეყნის განვითარებას. ევროკავშირში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომითი უფლებების დაცვას და უსაფრთხოებას სამუშაო ადგილებზე.

## **თანასწორობა და ინკლუზიურობა**

ევროკავშირი ყურადღებას აქცევს ქალებს, ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს. გაწვევრიანება დაგვეხმარება რომ საზოგადოება უფრო თანასწორი გახდეს ყველასთვის. სოციალური სერვისები და სტანდარტები დაიხვეწება, შეიქმნება და განვითარდება ჩვენი და ჩვენი ოჯახების სასიკეთოდ.

დღემდე არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში სწორედ ევროკავშირის დახმარებით განხორციელდა. აშენდა და გარემონტდა ბალები და სკოლები, მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, განხორციელდა არაერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჯანდაცვის პროგრამა. წლების განმავლობაში საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი ვრცელია და ამ გაზეთის ფურცლებიც კი ვერ დაიტევს. ეს მხარდაჭერა და განვითარება უნდა გაგრძელდებოდეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2023 წლიდან საქართველოს მთავრობამ თავისი მოქმედებებით გადაუხვია ევროკავშირისკენ მიმავალი გზიდან, საქართველომ დაკარგა მილიონობით ევრო განვითარებისთვის და პერსპექტივა, რომლის დასაბრუნებლადაც იბრძვის ქართველი ხალხი დღემდე.

*მასალაში გამოყენებულია ინფორმაცია საჯარო წყაროებიდან და პუბლიკაციიდან „ევროკავშირისკენ გზა: უპირატესობები და წინსვლის შესაძლებლობა“ 2025წ*

## ჰინ და რატომ სჯის ემიგრაციაში მყოფ მოქალაქეებს?

### იდა ბახტურიძე დავით ჭინჭარაძე

ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ადამიანი იძულებით ტოვებს საქართველოს. ოფიციალური სტატისტიკა ემიგრანტების სრულ რაოდენობას ვერ ასახავს, მაგრამ,

არაოფიციალური მონაცემებით, საზღვარგარეთ უკვე **მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს.**

საქართველოდან უმეტესად აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მიდიან, სადაც ასიათასობით ქართველი მძიმე შრომას ეწევა და გამომუშავებული თანხის დიდ ნაწილს საქართველოში აგზავნის. **ქვეყნის ეკონომიკის 14%-ზე მეტი სწორედ ამ გზავნილებზე დგას.** თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ მათი ეკონომიკური გავლენა ნაკლებად მდგრადია, რადგან გზავნილების დიდი ნაწილი იხარჯება ისეთ პირველად საჭიროებებზე, როგორიცაა **საკვები (79%), კომუნალური გადასახადები (63%) და ტანსაცმელი(53%).** მხოლოდ 7% ახერხებს თანხის დაგროვებას ბიზნესის დასაწყებად ან ქონების შესაძენად. ასე რომ, ემიგრანტების შრომა საქართველოში ბევრ ოჯახს უბრალოდ გადარჩენის საშუალებას აძლევს, ხოლო თავად, ოჯახის წევრების რჩენისთვის, საზღვრებს გარეთ იძულებით წასულები საკუთარ ოცნებებზე და გეგმებზე ამბობენ უარს.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტები საქართველოს ათასობით კილომეტრით არიან დაშორებულები, სამშობლოს არ ივიწყებენ. უცხოელებს ქართულ კულტურასა თუ ტრადიციებს აცნობენ და არჩევნებში ხმასაც აძლევენ. მაგალითად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე **საზღვარგარეთ 100 000-მდე ამომრჩეველი დარეგისტრირდა და აქედან, თითქმის 35 000-მა, მიუხედავად გრძელი რიგებისა და სხვა დაბრკოლებებისა, მაინც მოახერხა ხმის მიცემა.** 2025 წლიდან კი ემიგრანტებისთვის ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

„ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული საარჩევნო კოდექსის ცვლილებებით, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები **საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემას ვეღარ შეძლებენ.** თუ აქამდე ისინი მხოლოდ თვითმმართველობის არჩევნებში ვერ მონაწილეობდნენ, ახალი

ინიციატივა ამ შეზღუდვას საპარლამენტო არჩევნებზეც ავრცელებს. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, თუ საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეებს ხმის მიცემა სურთ, მათ **საქართველოში დაბრუნება მოუწევთ.**

ეს იმ ფონზე, როდესაც ბევრი ემიგრანტისთვის საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ სურვილი კი არა, მძიმე და ხშირად დაუძლეველი სირთულეა. ათასობით ქართველი ემიგრანტი უცხოეთში **არალეგალურად ცხოვრობს**, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერ დატოვებენ მასპინძელ ქვეყანას ისე, რომ უკან დაბრუნების უფლება არ დაკარგონ. ხოლო ისინი, ვისაც საზღვარგარეთ ლეგალურად ცხოვრების უფლება აქვთ, სხვა ბარიერებს ეჯახებიან. მაგალითად, ბერლინიდან ქუთაისამდე ბილეთი ხშირად **200** და ლონდონიდან **300 ევროზე მეტი ღირს**, აშშ-დან ჩამოსვლა კი **800 ევროსაც შეიძლება აცდეს**, თან გზაში სრული დღე იკარგება. ეს მაშინ, როცა ბევრი ემიგრანტის თვიური ხელფასი 600-700 ევროს არ აჭარბებს და აქედან 80-90% საქართველოში დარჩენილ ბავშვებსა და მოხუც მშობლებს უგზავნის, რომ მათ უბრალოდ არსებობა შეძლონ. ახლა კი, საკანონმდებლო ცვლილებების პირობებში, ემიგრანტებს შესაძლოა ყველაზე მტკივნეული არჩევანის გაკეთება მოუწიოთ: **ოჯახი სარჩოთი უბრუნველყონ, თუ ბილეთში დახარჯონ ის ფული და საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა შეასრულონ იმ ქვეყნის წინაშე, რომლისთვისაც ყოველდღიურად შრომობენ.**

სწორედ ამ მძიმე არჩევანის მაგალითია თათია ჯიმშიტაშვილის ისტორია. თათია ამბობს, რომ დედა ევროპაში იმიტომ არ წასულა, რომ იქ ცხოვრება უნდოდა, არამედ გაჭირვებამ აიძულა. მაშინ თათია მხოლოდ 17 წლის იყო, მაგრამ დედას შვილისთვის ცხოვრების უბრუნველსაყოფად სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. თათიას ბებიასაც გაუჭირდა შვილის გარეშე ცხოვრება – „დედაჩემის წასვლის

მერე ხშირად დამინახავს მისი ცრემლიანი თვალები. დარდობდა იმაზე, რომ შვილს ველარასდროს ნახავდა“ – იხსენებს თათია.

რამდენიმე წელიწადში თათიას ბებიას სიმსივნე აღმოაჩნდა. „მე რაც შემიძლო, ყველაფერს ვაკეთებდი, მაგრამ შვილის ზრუნვას ვერ შევუცვლიდი. მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ თავისი შვილი ენახა“ – ჰყვება ემიგრანტის შვილი. დედას ჩამოსვლა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლო, თუმცა უკვე გვიანი იყო – ბებია უგონო მდგომარეობაში დახვდა. არავინ იცის იგრძნო თუ არა შვილის ჩამოსვლა და მიხვდა თუ არა, რომ შვილი მასთან დასამშვიდობებლად დაბრუნდა.

ეს მხოლოდ ერთი ოჯახის ისტორია არ არის, ეს არის იმ ათობით ათასი ემიგრანტის საერთო ტკივილი, რომლებიც ხშირად უკან დაბრუნებას ვერ ახერხებენ მაშინაც კი, როცა საყვარელ ადამიანებთან უკანასკნელად გამომშვიდობება უნდათ. ახლა კი მათი რეალობა იმითაც რთულდება, რომ მმართველი ძალა ხმის მისაცემად მათგან ქვეყანაში დაბრუნებას ითხოვს.



ფოტო: „შენი ემიგრანტი“

ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით აშკარად იკვეთება, რომ მმართველი პარტია არა უბრალოდ აძნელებს ემიგრანტებისთვის არჩევნებში მონაწილეობას, არამედ **ღიად და შეგნებულად ართმევს ხმის უფლებას** იმ ადამიანებს, რომელთა შრომაზეც დგას დღეს ქართული ოჯახები

და საქართველოს ეკონომიკა.

ჩნდება კითხვა – რატომ აკეთებს ამას „ქართული ოცნება“? არსებობს მოსაზრება, რომ პარტია ემიგრანტებზე განაწყენებულია – 2012 წლის შემდეგ საზღვარგარეთ „ქართულ ოცნებას“ არც ერთხელ არ მოუგია – 2016-ში 39% აიღო, 2020-ში 29%, ხოლო ბოლო არჩევნებში კი საერთოდაც 13%.

მმართველ ძალაში ამბობენ, რომ სხვა ქვეყნებიც კრძალავენ საზღვარგარეთიდან ხმის მიცემას. ჩვენ დავინტერესდით, კიდევ სად არის ხმის მიცემა ემიგრანტებისთვის აკრძალული. აღმოჩნდა, რომ ასეთი ქვეყნები მართლაც არსებობს: ეთიოპია, მოზამბიკა, უგანდა, ზამბია და აფრიკის კონტინენტის მრავალი ქვეყანა. დიასპორისთვის ხმის მიცემა ასევე აკრძალულია პაკისტანში, ავღანეთში, მონღოლეთსა და ჩრდილოეთ კორეაში. უნდა აღინიშნოს რომ ჩრდილოეთ კორეაში სხვა ბევრი რამაა აკრძალული – მაგალითად, სიტყვის და რელიგიის თავისუფლებაც.

# უპრეცედენტო მასშტაბის ელიტური კორუფცია ქვეყანაში

---

**ნინო დოლიძე**

---

ბოლო პერიოდში ხშირად მოისმენდით ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის შესახებ – რომ საქართველოს აქვს გლობალურად ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა და მოწინავე ადგილზეა მსოფლიოში. თუმცა, როდესაც დაფიქრდებით და ირგვლივ მიმოიხედავთ, აღმოაჩენთ, რომ საქართველოს მოქალაქეები, აღნიშნულ ეკონომიკურ ზრდას საკუთარ თავსა და ოჯახზე ვერ გრძნობენ. ისევ ისეთივე მაღალია სიღარიბისა და უმუშევრობის დონე ქვეყანაში, კვლავ მაღალია ფასები პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და წამლებზე და

ისეთივე რთულია სოციალურ-ეკონომიკურ სიკეთეებზე წვდომა.

ერთი მხრივ, ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, 2025 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური ზრდა 9.8% იყო, მეორე კვარტლის საშუალო ზრდა 7.1%-ს გაუტოლდა, ხოლო ივლისში ეკონომიკურმა ზრდამ 6.5 პროცენტი შეადგინა. თუმცა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა ან/და პირიქით, გაუარესდა. ეს კი ადასტურებს, რომ ხალხის ფული ხალხთან არ მიდის.

**მაშ რას ნიშნავს აღნიშნული ეკონომიკური ზრდა?!**

**სად მიდის ხალხის ფული?!**

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ კორუფცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანამ მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული ნაბიჯები გადადგა და წვრილმანი კორუფცია ფაქტობრივად აღმოფხვრა, არსებობს საკვანძო სფეროები, სადაც სისტემური კორუფციის ნიშნები არ ქრება. კორუფციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შეფასებებში ხაზგასმულია, რომ – სასამართლო სისტემა პოლიტიკური გავლენებისგან არ არის დაცული; მაღალი თანამდებობის პირებთან დაკავშირებულ ბიზნეს-სუბიექტებს უპირატესი პირობები აქვთ; სახელმწიფო შესყიდვებში ხშირია პირდაპირი შესყიდვების მაღალი წილი და, რაც მთავარია, ანტიკორუფციული ინსტიტუტი პოლიტიკურად ნეიტრალური არ არის. ამჟამად არსებული ვითარება ხასიათდება, ერთი მხრივ, წვრილმანი კორუფციის დაბალი დონით და, ამავე დროს, მაღალი დონის კორუფციის თითქმის სრული დაუსჯელობით. **კორუფციამ საქართველოში უკიდურეს ზღვარს მიაღწია და „სახელმწიფოს მითაცების“ ფორმა მიიღო.** მაღალი დონის კორუფციის სავარაუდო შემთხვევების შინაარსი

და მასშტაბი, რაოდენობა და ზრდის დინამიკა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ქვეყანაში მაღალი დონის კორუფცია „კლემპტოკრატიის“ სახეს იღებს **როდესაც სახელმწიფოს მმართველები იყენებენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, რათა მიითვისონ ქვეყნის სიმდიდრე.**

სახელმწიფო ფინანსების მითვისების სწორედ ასეთ სქემებთან გვაქვს საქმე რაც, ფაქტობრივად, დადასტურდა კიდევ თავად სახელმწიფოს მხრიდან. უკანასკნელ კვირებში განხორციელებული მაღალი თანამდებობის პირების დაკავებები, მათ წინააღმდეგ დაწყებული გამოძიებები, ჩხრეკები და დიდძალი ფულის ამოღება სწორედ ელიტური კორუფციის ფაქტების გამოვლინებაა.

### **ელიტური კორუფციის ნაცნობი თუ უცნობი სავარაუდო შემთხვევები**

- ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის ბიზნესპარტნიორმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5ნ მლნ ლარი მიიღო – 2014-2024 წლებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროგრამებიდან ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის ბიზნესპარტნიორის, ვახტანგ კარიჭაშვილის კომპანიებმა 5ნ მლნ ლარი მიიღეს და აქედან 25 მლნ ლარი მხოლოდ 2024 წელს, რაც ამ წლის სოფლის მეურნეობის პროგრამების მთლიანი ბიუჯეტის 13% იყო. ამავე დროს, კარიჭაშვილის კომპანიებმა და კომპანიების დირექტორებმა „ქართულ ოცნებას“ 783 ათასი ლარი შესწირეს.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გიორგი ჭყონიამ არჩევნების შემდეგ 37 მილიონი ლარის ტენდერები მოიგო – „ქართული ოცნების“ დეპუტატის, გიორგი ჭყონიას კომპანია „გზამ“ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 5 სახელმწიფო შესყიდვიდან 37,095,628 ლარი მიიღო. ჯამურად, გიორგი ჭყონიას კომპანიებმა სახელმწიფო შესყიდვებიდან 2011-2025 წლებში 392 მილიონ ლარამდე მიიღო. ჭყონიამ 2016 წლიდან

დღემდე „ქართულ ოცნებას“ 400,000 ლარი შესწირა, მის-  
მა ბიზნესპარტნიორებმა და კომპანიების დირექტორებმა  
კი 1,000,000 ლარზე მეტი.

- სენაკის მერმა თავისი მეგობრის და ბიზნესპარტნიო-  
რის მამას 7 მილიონ ლარზე მეტი სახელმწიფო შესყიდვა  
მისცა – შპს „აფოს“, რომელსაც სენაკის მერის, ვახტანგ  
გაღელიას ყოფილი ბიზნესპარტნიორის და მეგობრის,  
გიორგი აფაქიძის მამა ამირან აფაქიძე ფლობს, ყველაზე  
მსხვილი შემსყიდველი სენაკის მერიაა. მხოლოდ ვახტანგ  
გაღელიას მერობის პერიოდში, 2021 წლიდან დღემდე,  
შპს „აფომ“ სენაკის მერიისგან 5,293,214 ლარის ღირებუ-  
ლების 20 ტენდერი და 1,821,626 ლარის 14 გამარტივებული  
შესყიდვა მიიღო.

- ადიგენის მერიასთან დაკავშირებულმა 15-მა პირ-  
მა ადიგენის მუნიციპალიტეტის შესყიდვებით 2 მილიონ  
ლარზე მეტი მიიღო – ადიგენის თვითმმართველობის



ფოტო: Anti-Corruption Resource Centre

ათამდე თანამშრომლის ოჯახის წევრებმა და ნათესა-  
ვებმა 2017-2025 წლებში ადიგენის მუნიციპალიტეტის სა-  
ხელმწიფო შესყიდვებით 2,189,863 ლარი მიიღეს, აქე-  
დან 1,713,942 ლარი (78.2%) პირდაპირი შესყიდვებითა  
და უკონკურენტოდ მოგებულ ტენდერებით დაერიცხათ.  
არის შემთხვევები, როდესაც ძმა ძმის შესრულებულ სა-

მუშაოებს ისე იბარებს, რომ კანონით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ არ უთითებს.

\* \* \*

ამ და სხვა მრავალი შემთხვევით დასტურდება, რომ ელიტური კორუფცია უპრეცედენტო მასშტაბს აღწევს საქართველოში. ფული, რომელიც ეკუთვნის ხალხს და მათ უნდა ხმარდებოდეს, მმართველი პარტიის გავლენის ქვეშ მყოფი ვიწრო ჯგუფის ხელშია. იმ ფონზე, როდესაც მოქალაქეები უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ, კერძოდ, საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 700 000 ადამიანია (2025 წ.), სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 9,4 % (2024 წ.), ხოლო პენსია მხოლოდ 20 ლარით გაიზარდა – მაღალი რანგის თანამდებობის პირები მდიდრდებიან, სასახლეებს იშენებენ და ფუფუნებაში ცხოვრობენ. მაღალი დონის კორუფცია, სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემები, სახელმწიფო შესყიდვებში არსებული სქემები და პოლიტიკური გავლენები აფერხებს მოქალაქეთა კეთილდღეობას და სიღარიბის აღმოფხვრას. პრობლემის გადაჭრა მოითხოვს არა მხოლოდ კანონის გამკაცრებას, არამედ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, გამჭვირვალე პროცესებს, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას და, რაც ყველაზე მთავარია, რეალურ პოლიტიკურ ნებას. ეს უკანასკნელი კი არ არსებობს, რადგან თავად სახელმწიფოა ჩართული მოქალაქეთა ფულის მიტაცებაში.

*სტატიაში გამოყენებული მასალის წყაროს წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ვებ-გვერდი, სოციალური მომსახურების სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.*

# საქართველოში სულ უფრო ნაკლები ბავშვი იბადება!

ქვეყანა გადაშენების პირას დგას!

## მედეა მეტრეველი

უკანასკნელი წლების განმავლობაში დემოგრაფიული ვითარება საქართველოში უაღრესად დამძიმდა. რთული სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო აღარ იქმნება ოჯახები. არა თუ ორი და სამი შვილის ყოლა, ერთი შვილის ყოლაც კი დიდი ფუფუნებაა ახლადშექმნილი ოჯახებისთვის.

### შობადობა

თავად სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების გაცნობაც კი საკმარისია, რომ უდიდესი საფრთხე დავინახოთ. 2014 წელს საქართველოში 60 000 ბავშვი დაიბადა, ხოლო 2024 წელს – 39 483 ბავშვი, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ყოველწლიურად 2 000 ბავშვით ნაკლები იბადება.

ამავდროულად, საგანგაშოა სტატისტიკური მონაცემების თანაფარდობა შობადობასა და გარდაცვალებას შორის – 2024 წელს 43 971 ადამიანი გარდაიცვალა და დაბადებულთა რაოდენობას გარდაცვლილთა რაოდენობამ 4 488-ით გადააჭარბა.

იმ შემთხვევაში, თუ ვითარება არ შეიცვლება და შობადობის დინამიკა არ გაუმჯობესდება, ჩვენს ქვეყანაში, რამოდენიმე წელიწადში, საქართველოს მოქალაქეები უმცირესობაში აღმოვჩნდებით.

### ქორწინება

სამუშაო ადგილების სიმცირის, ფასების მუდმივი ზრდის და სოციალურად და პოლიტიკურად სტრესული



ფოტო: ონლაინ გამოცემა თბილისელები

და არასტაბილური გარემოს პირობებში ახალგაზრდები ოჯახების შექმნას და შვილების ყოლას ფრთხილობენ. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2013 წლიდან მუდმივად მცირდება ქორწინებების რაოდენობა და **ყოველწლიურად 1 200 ნაკლები ოჯახი იქმნება**. თუ 2013 წელს 34 700 ახალი ოჯახი შეიქმნა, უკვე 2024 წელს ახლადშექმნილი ოჯახების რაოდენობა 21 653 შეადგენს.

და არათუ ოჯახები იქმნება, განქორწინებების და დანგრეული ოჯახების სტატისტიკაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, ბუნებრივია, ქვეყანაში არსებული უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური გარემოა. 2013 წელს საქართველოში 8 000-მდე წყვილი განქორწინდა, 2014 წელს 9 000-მდე და ეს დინამიკა ყოველწლიურად იზრდება – უკვე 2024 წელს საქართველოში 14 000-მდე წყვილი განქორწინდა.

სახელმწიფოს არ გააჩნია არანაირი ხედვა და გეგმა, როგორ წაახალისოს საკუთარი მოქალაქეები, ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს, რათა წელში გამართული,

ძლიერი და უზრუნველყოფილი ოჯახები შექმნან.

## **ემიგრაცია**

დემოგრაფიულ ვითარებას ამძიმებს ემიგრაციის ზრდაც. საქართველოს მოქალაქეები ტოვებენ ქვეყანას ლუკმა-პურის საშოვნელად, სამშობლოში დარჩენილი პენსიონერი მშობლების შესანახად და საკუთარი შვილებისთვის უსაფრთხო და სტაბილური გარემოს უზრუნველსაყოფად. „ქართული ოქნების“ პოლიტიკა საქართველოს აქცევს ქვეყანად ქართველების გარეშე და ახალისებს ემიგრაციას. ქვეყანა გადაშენების პირას დგას!

უაღრესად საგანგაშოა მოქალაქეების ქვეყნიდან გადინების მაჩვენებელი – 2021-2024 წლებში ემიგრაციაში წასულთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით გაორმაგებულია. ჩვენი მოქალაქეები მასობრივად ტოვებენ ქვეყანას, მიდიან ოჯახებით და უკან აღარ ბრუნდებიან. ცარიელდება სოფლები და ქალაქები. მათ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს კი უცხო ქვეყნის მოქალაქეები იკავებენ.

**სტატისტიკის დეპარტამენტის მიხედვით 2014-2023 წლებში ემიგრაციაში წავიდა 815 608 საქართველოს მოქალაქე, ხოლო ქვეყანაში დაბრუნდა 265 ათასით ნაკლები – 550 919 საქართველოს მოქალაქე. ემიგრაციაში წასულთა შორის ახალგაზრდა ასაკის მოქალაქეები ჭარბობენ – სწორედ იმ ასაკის ადამიანები, რომელთა ქვეყნიდან წასვლაც ქვეყანაში დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმებას უფრო მეტად ამწვავებს.**

გაეროს მონაცემებზე დაყრდნობით, 2024 წელს ემიგრაციაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი მილიონამდე გაიზრდებოდა.

\* \* \*

უმუშევრობა, სიღარიბე, პროდუქტებზე და უძრავ ქონებაზე ფასების ზრდა, უსამართლო სოციალური გარემო, სიღარიბე, ჩამოშლილი ჯანდაცვის და განათლების სისტემები, ძალადობა, რეპრესიები, კრიმინალი და არაერთი სხვა გამოწვევა არის ის მთავარი მიზეზები, რაც საქართველოში ადამიანების ყოფას ყოველდღიურად გაუსაძლისს ხდის. სწორედ ამის გამო საქართველო იცლება ჩვენი მოქალაქეებისგან და ამაზე არა თუ პასუხისმგებლობის აღება სურს „ქართული ოცნების“ გუნდს, არამედ თავადვე ქმნის ყველა იმ წინაპირობას, რაც აიძულებს ჩვენს თანამემამულეებს მცირეწლოვან შვილებთან ერთად დატოვონ საქართველო ოჯახების უსაფრთხოებისთვის და კეთილდღეობისთვის, რისი გარემოც საკუთარ ქვეყანაში დღევანდელ დღეს არ აქვთ.


## სიღარიბის პირას მყოფი რამდენი ადამიანის დახმარებაა შესაძლებელი ხუთი ძვირადღირებული საათით?

---

### მარიამ გელაძე

---

ყოფილი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის 5 საათი ჯამში დაახლოებით 475,000 ათასი ლარი ღირს. თუ „საქსტატის“ მონაცემებს დავეყრდნობით, ეს თანხა 2069 ბავშვის კვებას ერთი თვე ეყოფოდა.



„2069 ბავშვის გამოკვება 1 თვე, თუ ეს 5 საათი? მგონი, არჩევანი აშკარაა”



“აბა ბიუჯეტი რისთვისაა?”

# მადნაულის მძევლები

გიორგი ჩიკვილაძე, მაია ლომიძე,  
დაჩი იჩუაიძე, გელა მთივლიშვილი  
“მთის ამბები“ / 01.11.2025

„მთის ამბების“ გადამღებ ჯგუფს ჭიათურობის მეორე დღეს ქალაქი საბეიმოდ მორთული დახვდა. ერთის ნაცვლად, თითქოს, 2 ქალაქი პარალელური რეალობებით. ყვირილის ერთ სანაპიროზე, მოედანზე მაღაროელის ძეგლი აღუმართავთ, მეორე სანაპიროზე ცოცხალი მაღაროელები საპროტესტო კარავში ცხოვრობენ. ერთი შენობის ფასადზე „ქართული ოცნების“ აღორძინების ბანერებია – „მეტი განვითარება ჭიათურას!“, მეორე ფასადზე – პლაკატი ამ „აღორძინების“ მსხვერპლების – უკანონოდ დაპატიმრებული ჭიათურელების ფოტოებით. გასულ კვირას ჭიათურობის დღესასწაული აღნიშნეს ქალაქში, სადაც გასულ თვეებში უმუშევრად დატოვეს 2000 მაღაროელი, რაც 2000 ოჯახის ულუკმაპუროდ დარჩენას უდრის.

12 ათასიან ქალაქში, რომლის ძირითადი შემოსავალი მანგანუმის მოპოვებაა, გასულ წელს სამთო-მოპოვებითი სამუშაოები გააჩერეს. მაღაროელებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ითხოვდნენ ხან სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ხელფასის მატებას, ხან კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას, თებერვალში ახალი, მასშტაბური აქციები წამოიწყეს. ორ თვეში „ჯორჯიან მანგანუმის“ მმართველი კომპანია „ჭიათურა მენჯემენტ კომპანის“, იგივე „სიემსის“ განცხადებიდან ირკვევა, რომ წარმოების განახლების პროცესს რუსეთის მოქალაქე, მიხაილ სოცკი უხელმძღვანელებს.

მარტში მაღაროელებს ამ შინაარსის შეტყობინებას უგზავნიან – „გათავისუფლებული ხართ დაკავებული პოზი-

ციიდან, მადლობა თანამშრომლობისთვის“.

*რუსმა მმართველმა საწარმოს რეორგანიზაცია კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოაცხადა და 3620 მალაროელი უმუშევარი დატოვა.*

„მოიყვანეს იმისთვის, რომ ყველაზე ბინძური საქმე რუსის ხელით შეესრულებინათ. ეს იყო პირველ რიგში შანტაჟი – თუ არ გინდა სამსახურში დაბრუნება, კარგავ ყველაფერს. ამაში სახელმწიფომ და პროფკავშირმა თავისი ძალაუფლება დაახმარა. სოფლის გამგებლები და მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ურეკავდნენ ახლობელ მალაროელებს და ეუბნებოდნენ, მიდი კომპანიის სათავო ოფისში, რეორგანიზაციას ხელი მოაწერე და მე გაძლევ გარანტიას, მუშაობას დაიწყებო. ასეთი მოტყუებით მოაწერინეს ხელი და დღეს ხელმომწერებისგან 1050 ადამიანი ისევ უმუშევარია“ – გვიხსნის აქტივისტი მალაროელი, ტარიელ მიქაცაძე.

რეორგანიზაციაზე თანხმობის გაფორმება მადნის მომპოვებელ საწარმოს 2 მიზნისთვის სჭირდებოდა – თავისი უკანონო ქმედების გამოსასწორებლად ერთი მხრივ და მეორე მხრივ პროტესტის გასანეიტრალებლად. ამბოხებულების მოთვინიერება სოცკის გამოჩენამდე დაიწყო. წლების განმავლობაში არაერთხელ ნაცადი პროვოკაციებიდან უკანასკნელი, 28 აპრილს ხელისუფლების სასარგებლოდ დასრულდა. ადგილობრივებს შუქრუთის მალაროს დირექტორთან, თენგიზ კობერიძესთან სოფელში ჩხუბი მოუვიდათ. იმავე დღეს რუსული პროპაგანდის ლოკომოტივმა, ტელეკომპანია „იმედმა“ ჭიათურის პროტესტის ყველაზე აქტიური მალაროელები თავდამსხმელებად გამოაცხადა, მათ შორის ტარიელ მიქაცაძე და მირზა ლოლაძეც, რომლებიც შემთხვევის დროს თბილისში პრესკონფერენციას მართავდნენ.

„რადგან ასეთი აცდენა იყო, ირონიულად შევხედეთ ამ საქმეს. „იმედის“ ჟურნალისტს ვუთხარი, მე ვარ ტარიელი და აგერ მირზა, ჩვენ ვართ ის ადამიანები, ვინც თქვენ დამნაშავეებად გამოაცხადეთ. ორ ადგილზე ვერ ვიქნებით, თბილისსა და ჭიათურას შორის მინიმუმ 200 კილომეტრია. შემდეგ ეს სიუჟეტი აიღეს და სახელები შეცვალეს – ტარიელისა და მირზას ნაცვლად თენგიზ გველესიანი და აჩიკო ჭუმბურიძე ჩაწერეს“ – იხსენებს ტარიელ მიქაცაძე.

*თენგიზ გველესიანი, აჩიკო ჭუმბურიძე, მერაბ სარალიძე და გიორგი ნეფარიძე, 29 აპრილს გამთენიისას დააკავეს.*

პატიმრობის მეექვსე თვეს „მთის ამბები“ გიორგი ნეფარიძის მშობლებს ესტუმრა.

ლია ივანიშვილი, გიორგი ნეფარიძის დედა: „გიორგი დაპატიმრების შემდეგ ჩემი 71 წლის მეუღლის პენსიაზე ვართ. მე მესამე ჯგუფის ინვალიდი ვარ. მაქვს 70 ლარი პენსია. წყლის მოტანაც არ შემიძლია, არავითარი ტვირთი. ახლა ჩემმა მეუღლემ თვალის ოპერაცია გაიკეთა, სიმძიმეები ამასაც აუკრძალეს. გიორგი იყო ჩვენი მარ-



ფოტო: მთის ამბები

ჩენალი. ჩვენ ფიზიკურად არ შეგვიძლია. ჩემმა მეუღლემ 48 წელი მაღაროში იმუშავა, მაგრამ ერთნაირი პენსია აქვს ამასაც და სხვასაც“.

რისთვის იბრძოდა მაღაროელის ოჯახში გაზრდილი გიორგი ნეფარიძე შუქრუთიდან, მის კარ-მიდამოზე თვალის შევლებითაც გასაგები ხდება. ავარიული სახლი, უსწორმასწორო ეზო, წაქცეული დამხმარე ნაგებობები. გიორგის თაოსნობით და მონაწილეობით შუქრუთის მოსახლეობა ჯიუტად, ხმამაღლა ითხოვდა პასუხს მათი სოფლის ქვეშ მადნის მოპოვების სამუშაოებით განადგურებული ქონების გამო და ითხოვდა ღირსეულ კომპენსაციას.

დამსაქმებლების პასუხი ირონიული იყო, თითქოს სოფლის მკვიდრები თავის ქობმახებს წყნეთისა და ბარნოვის სახლების ფასს ადებდნენ. გიორგი ნეფარიძე არამარტო თავისი ოჯახის უფლებას იცავდა, ესარჩლებოდა სხვებსაც, ვისაც ასაკის ან სხვა უმწეობის გამო არც პირის ამოკერვა შეეძლო და არც კარავში ღამის თენება.

შუქრუთელ აქტივისტს არაერთხელ შეუთვალეს, რომ მისი საქმიანობა კარგად არ დასრულდებოდა. 2019 წელს უკვე დაკავებულებს ჰყავდათ ასევე გამოგონილი ბრალით, ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტზე. მაშინ ის სასამართლომ გაამართლა. მეორედ გირაო შეუფარდეს მაღაროს შესასვლელის ბლოკირებისთვის.

სოფლის პროტესტი შუქრუთისა და კოროხნალის მაღაროების მუშაობას შეუძლებელს ხდიდა. მისი სულისჩამდგმელის დაკავების შემდეგ კი პროტესტის განეიტრალებაში მთელი რეპრესიული მანქანა ჩაერთო. გიორგი ნეფარიძის დედა, ღია ივანიშვილი იხსენებს, როგორ მიმდინარეობდა „ტყვეებით ვაჭრობა“ ძალოვნების, ჩინოსნების, სამღვდელოების მონაწილეობით: „ამ 4 ბიჭის სანაცვლოდ, ამდენი ხნის ნაწვალები – ოთხივე ნაშიმში-

ლარი, ეს ჩვენი სოფლის ხალხიც ამის გამო თანხმდებოდნენ, ოღონდ გამოუშვან და პატიმრობაში ნუ იქნებიან, ამ დედ-მამას ნუ დაუჩაგრავთ... დათანხმდნენ, რომ პიკეტი მოეხსნათ და მალაროს „გადამაგრება“ გაეკეთებინათ. მერე თქვეს, სამუშაოდ შეგვიშვით და ბიჭები გათავისუფლდებიანო. ამაზეც დათანხმდნენ. მერე უთხრეს, მანგანუმი გვაზიდინეთ, მოგვეცით საშუალება, მანქანებით გავიტანოთო. სამივეჯერ დაარღვიეს პირობა. გამოშვებით არავინ გამოუშვეს და ბრალი პირიქით დაუმძიმეს“.

დაპატიმრებულმა ჭიათურელმა აქტივისტებმა ციხეში შიმშილობა დაიწყეს. ტყვეებით ვაჭრობის დეტალებს ამბებს გიორგი ნეფარიძის მამაც:

**„თვითონ მეუფე შევიდა ბიჭებთან, შეწყვეტეთ შიმშილობა და გამოგიშვებენო. კარავშიც შეაწყვეტინა ბიჭებს შიმშილობა, მაგრამ ყველამ გადააგდო, დეპუტატმაც, მერმაც, მეუფემაც და ყველამ“.**

ტარიელ მიქაცაძე, მალაროელი: „მოდის ასეთი შემოთავაზება – თუ იქნებით ჭკვიანად, თუ შეწყვეტთ შიმშილობას, მაგ ბიჭებს აუცილებლად გამოუშვებენ, ოღონდ თქვენ კარვები უნდა დაშალოთ. ზუსტად ამ ადგილზე მოვარდა გაბრაზებული პოლიციის უფროსი, როინი დვალი და მეუბნება პირადად მე, რადგან იცის, მე ვარ ამ ამბის დამორგანიზებელი. აი, ახლა გიცანი, შენ ხარ ის ადამიანი, რომელსაც უნდა, ის 4 პატიმარი ციხეში დარჩეს. მე ხომ შემოგთავაზე, თუ ჭკვიანად მოიქცევი, ბიჭები ციხიდან გამოვიდოდნენ?! აი, შენ აკეთებ ისე, რომ ბიჭები ციხეში დარჩნენ.“

ადამიანების გადაკიდებისა და გახლეჩის გზით ჭიათურის პროტესტი დასუსტდა, მაგრამ მისი სრულად აღმოფხვრა ხელისუფლებამ ამ დრომდე ვერ მოახერხა. რაც მოახერხა წარმატებით, – ეს მოქალაქეების ყოფის კიდევ უფრო მეტად დამძიმებაა, მასობრივი მიგრაცია, საგრძნობი გაღარიბება.

ტარიელ მიქაცაძე, მაღაროელი: „იზარდი კაციტაძემ, 38 წლის კაცმა, რომელმაც უარი თქვა რეორგანიზაციის თანხმობაზე ხელის მოწერაზე, თბილისში წავიდა მშენებლობაზე დღიურ მუშად. მერვე სართულიდან გადმოვარდა და დაიღუპა. არც ცოლი, არც შვილი არ დარჩენილა, დასაოჯახებელი, საჯიშე ქართველი გამოაკლდა ჭიათურას და საქართველოს. ის პირდაპირ არის კომპანიის უკანონობის ბრალეულობა, რის გამოც ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ჭიათურა. სხვა მრავალი ფაქტია კიდევ, ასეთი ფატალური შედეგით არ დასრულებულა, მაღლობა ღმერთს, თუმცა დაზიანებები ძალიან ბევრმა მიიღო, ბევრი გახდა იძულებული, ემიგრაციაში წასულიყო. აი, შეგიძლიათ თვითონ ნახოთ, მიჯრით სამი მაღაზია დაკეტილია, რომ ველარ მუშაობს“.

ჭიათურის მთავარ ქუჩაზე კედლები გაქირავება-გაყიდვის განცხადებებითაა აჭრელებული. იმ სავაჭრო ობიექტების თანამშრომლებმა კი, რომელიც ჯერ კიდევ ღიაა, „მთის ამბებს უთხრეს: „2000 ადამიანი დარჩა უმუშევარი. ეს ხალხი გავიდა ქალაქიდან. პირადად მეც ძალიან მიჭირს. 1700 ლარს ვიხდი ბანკში ისე, რომ არაფერი შემიძენია. ჩემი შვილი რომ უმუშევარი დარჩა, მის შვილებს ხომ უნდოდათ ჭამა-სმა და პატრონობა?! ზოგი თურქეთისკენ წავიდა მოჯამაგირედ, ზოგი პოლონეთისკენ წავიდა მოჯამაგირედ. აბა, იქ ოფიციალურ სამსახურებში კი არავინ არის მოწყობილი. ყველაფერს ვაკვირდები. გუშინ ახლა ჭიათურლობა იყო. ადრე ზეიმზე ეს მაცივრები პროდუქტებისგან მთლიანად იცლებოდა ხოლმე. წელს იმის ნახევარიც არ იყო. შვილებს ვფიცავარ, დღეს ერთი ბოთლიც არ შემიმატებია. არა, არაფერი არ გაიყიდა“, – ნანა კოპაძე, რომელიც ჭიათურის მთავარ ქუჩაზე პატარა სასურსათო მაღაზიას უძღვება, ნისიების გრძელ სიებს გვიჩვენებს და განაგრძობს: „ვერცერთი მუშა სიგარეტის ფულს თვის ბოლომდე ვერ მაძლევს. ის ხალხი კაბალურ პირობებ-

ბე გაჭირვების გამო წავიდა. გაჭირვებამ შეიყვანა ისინი მაღაროში, როგორც მგელს აგდებს შიმშილი ტყიდან სოფელში, ისეა. შიოდა ამათ ცოლ-შვილს. ჩემს შვილს სამსახურში უკან ვინ მიიღებს, მგლის ბილეთი აქვს გამოწერილი, რადგან გაასახივრა, რადგან შეეწინააღმდეგა, რადგან პროტესტი გამოხატა, რადგან შიმშილობდა პარლამენტის წინ. ამისთანა ხალხს უჭირს დღეს ძალიან“.

მგლის ბილეთიანებს, იმათ, ვინც უსამართლობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა და ვერ დააშინეს, დღეს კი არა, ერთხელ მაინც იდგა პროტესტზე და ამის გამო ხელშეკრულებებს აღარ უფორმებენ, არ უხდიან ძველ სახელფასო დავალიანებებსაც კი. საპროტესტო კარვის წინ შეკრებილი მაღაროელები იხსენებენ, რას პასუხობენ მათ სამართლიან პრეტენზიას „ინვესტორები“, „ახლა რა გინდათ, კუთვნილი მარტის და აპრილის ხელფასი ჩაგირიცხოთ და თქვენ იმ ფულით ჩვენს წინააღმდეგ, უკანონო რეორგანიზაციისთვის სარჩელი შეიტანოთ?! სოცკი იმას არ გვეუბნება, არ გეკუთვნითო, გეკუთვნით, მაგრამ არ მოგცემთო“.

*„ბინის ქირას ვერ ვიხდი, ნაქირავებში ვარ. ერთხელ გამომავდეს, მეორედ გამომავდეს. ასეთი ადამიანი შემოიყვანეს აქ“ – თავის გაუსაძლის ყოფაზე გვიყვება პროტესტის ერთ-ერთი მონაწილე.*

„ჯორჯიან მანგანებს“, რომელსაც კანონით სახელმწიფო მმართველი უნდა ხელმძღვანელობდეს და არა რუსეთის მეფისნაცვალი, როგორც ჭიათურელები მიხაილ სოცკის უწოდებენ, ქალაქიდან მანგანუმით დატვირთული ეშელონები ერთი მეორეს მიყოლებით გააქვს. იცლება საწყობები თვეების დაგროვილი მარაგებისგან და იცლება ქალაქი თავისი მკვიდრებისგან. სოცკისაც ეს უნდა – დარწმუნებულია ტარიელ მაქაცაძე: „ეს უნდა ზუსტად მიხაილ სოცკის, რადგან თვითონ ჭიათურაც გარკვეულწილად მანგანუმზე დგას, ეს კორპუსებიც მანგანუმზე დგას. ჩვენს

თავზე „ოცდახუთის დასახლება“. თქვენც ნახავდით, როგორ მიდის კორპუსების საძირკველთან ექსკავატორი და როგორ იღებს საუკეთესო ხარისხის მადანს.

*თუ შემწინააღმდეგებელი არ ეყოლებათ, თუ იმ კორპუსში ადამიანი აღარ იცხოვრებს, თუ სოფელი დაიცლება, სადაც მანგანუმი მოიპოვება, ძალიან მარტივად დაათმობინებენ და ხელში ჩაიგდებენ უძრავ ქონებას, ვიდრე ჭიათურაში ათასობით ადამიანი ცხოვრობდეს და თავის ქონებას შესაბამის ფასს ადებდეს“.*

ჭიათურა გამონაკლისი არ არის, სადაც არათუ ქონებას, ადამიანების სიცოცხლეს და თავისუფლებას ფასი დაკარგული აქვს. ერთეულების ინტერესების გამო, სახელმწიფო მანქანა შეთანხმებულად მოქმედებს მოქალაქეების წინააღმდეგ – მღვდელს ბიზნესმენისგან, ქართველს რუსისგან, მოსამართლეს ცილისმწამებლისგან ველარ გაარჩევ. ამ პატარა ქალაქის მაგალითზე ვუყურებთ, როგორ იქცნენ მისი მკვიდრები მადნეულის მძევლებად, ზოგი ჯიბეში მისივე გათავისუფლებაზე თანხმობის ხელმოწერით და მაინც უმუშევარი, ზოგი დასაქმებული უფლებების გარეშე, ზოგი დღე და ღამე კარავში, თავის პატარა ბრძოლაში, 2000 უმუშევარი, უპერსპექტივო მაღაროელი და 4 პატიმარი, რომლებსაც მაღაროს დირექტორზე ძალადობის ორგანიზებისთვის 9 წლამდე ციხე ემუქრებათ. 9 წელი რომ მიუსაჯონ, მე იმას ველარ დავხვდები, დარდობს გიორგი ნეფარძის დედა, ლია ივანიშვილი: „დავდივარ სასამართლოზე და ღმერთს შევჩერებივარ. იქნებ იმან გადმოხედოს ჩემს ალალ-მართალ ოჯახს და ჩემი უსამართლოდ დაპატიმრებული შვილი დაიცვას. 9 წელი რომ მიუსაჯონ, ჩემი ცოდვა ზიდოს იმან, ვინც ტყუილად მოკიდა ჩემს შვილს ხელი ვინც მას ტყუილად ამხელა სასჯელს მიუსჯის. ღმერთს ვთხოვ, ჩემი ცოდვა იმას!“

# საქონის ვაშელი

რ ე ვ ი ო ნ ე ბ ი ს თ ვ ი ს

წარმოდგენილი პუბლიკაციის მიზანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ჩვენი საზოგადოების წინაშე არსებულ მწვავე და მნიშვნელოვან საკითხზე ინფორმაციის მიწოდება.

საინიციატივო ჯგუფი: **დავით ჯინჭარაძე, ნინო დოლიძე, იდა ბახტურიძე, თეონა ჭალიძე, სოფო შუბითიძე**  
რედაქტორი: **მედეა მეტრეველი**

ტირაჟი: 5 000

პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს პროექტის ინიციატორთა და რედაქტორის შეხედულებებს.

საინიციატივო ჯგუფი მადლობას უხდის „მთის ამბებს“ გაზეთისთვის მათი ჟურნალისტური მასალების გამოყენების უფლების გადმოცემისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა გაზეთის გამოცემასა და გავრცელებაში.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

თუ გსურთ, თქვენი რეგიონის და საქართველოს ამბები გაიგოთ, ან თქვენი და თქვენი რეგიონის პრობლემები გაგვიზიაროთ, დაიმატეთ ჭიჭიკო Whatsapp-ზე. ჭიჭიკო ჩვენი რობოტია, რომელთან ლაპარაკი მარტივია:

1. გადმოწერე Whatsapp-ის აპლიკაცია.
2. დაამატე ეს ნომერი: +44 7404 998 980 ან ფოტო გადაუღე აქ მოცემულ QR კოდს.
3. მიწერე ჭიჭიკოს „გამარჯობა“ და ის შენთან ლაპარაკს დაიწყებს.

ჭიჭიკოსთვის შეგიძლია შენი სოფლის ან რეგიონის პრობლემების გაზიარებაც. „ხალხის გაზეთი“ თქვენ მიერ მოწოდებულ პრობლემებზე შემდეგ გამოცემებში მოამზადებს სტატიებს. პრობლემების ნაწილის მოგვარებაში კი, შესაძლოა მოხალისეები დაგვეხმარონ. ერთად ჩვენ ამას შევძლებთ!

სხვა შემთხვევებში დაგვიკავშირდით:  
[davit@georgiaprotest.com](mailto:davit@georgiaprotest.com)

